დანართი 1.

1. თსუ-ს სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. ბაკალავრიატის/დიპლომირებული სპეციალისტის/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

2. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება თსუ მაგისტრატურაში მიღების წესის შესაბამისად.

3. დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხორციელდება თსუ დოქტორანტურაში მიღების წესის შესაბამისად.

4. სტუდენტების საგრანტო კონკურსში გრანტის მოსაპოვებლად/გასაუმჯობესებლად მონაწილეობის საკითხს აწესრიგებს ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება".

5. სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა თსუ-ში დადგენილი წესების დაცვით;

6. სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: ადმინისტრაციული – ბანკში სწავლის საფასურის გადახდით და აკადემიური (საგნობრივი) - ,,სასწავლო პროცესის მართვის სისტემის" საშუალებით.

2. თსუ-ში გადაყვანის წესით ჩარიცხვა

1. თსუ–ში გადაყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების შესაბამისად.

2. გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ), ან იმ არააკრედიტებულ უსდ-ში, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით ითვლება აკრედიტებულად; ან იმ უცხო ქვეყნის/ოკუპირებული ტერიტორიის უსდ-ს სტუდენტს, რომლის პროგრამა და შედეგები აღიარებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში თსუ –ს მიერ დარეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე. ამ პუნქტის მიზნებისთვის სამედიცინო განათლებისა და ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა აკრედიტაცია ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

5. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მობილობის მსურველი პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით თსუ–ს, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. გადაყვანის წესით კონკურსანტის ჩარიცხვის შემთხვევაში მიმღები ფაკულტეტის წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილებით დგინდება სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და თსუ–ს სასწავლო პროგრამის თავსებადობა შესაბამისი კრედიტების აღიარებით.

7. გადაყვანის წესით ჩარიცხვის წინაპირობაა შესაბამის ფაკულტეტზე მობილობის პროგრამით გათვალისწინებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება დადებითი შეფასებით;

3. თსუ-დან გარიცხული\ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

1. ამ წესის ძალაში შესვლამდე გაირცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მიმართოს დაწესებულებას სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი განისაზღვრება გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, ფაკულტეტის მიერ ამორიცხვამდე ათვისებული პროგრამის აკადემიური ცნობის საფუძველზე.

4. თსუ–ში სწავლის გაგრძელება ერთიანი ეროვნული /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე

1. ერთიანი ეროვნული /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა თსუ–ში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
2. თსუ-ში ჩარიცხვის წინაპირობაა უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა.

5. თსუ–ს სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვების წესი

1.ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის სწავლების საფეხურზე/პროფესიული უმაღლესი უმაღლესი განათლების ქვესაფეხურზე კრედიტების წლიური დასაშვები ოდენობა განისაზღვროს 65 კრედიტით (სემესტრში არაუმეტეს 30–35 კრედიტით);
2. ბაკალავრიატის მე– 8/დიპლომირებული მედიკოსის მე–10/მე–12 სემესტრის სტუდენტს უფლება ეძლევა 240/300/360 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები არაუმეტეს 40 კრედიტისა.
3. სამაგისტრო პროგრამით დადგენილი სასწავლო (120 კრედიტი) კრედიტები შესრულდეს მაგისტრატურაში სწავლისათვის განსაზღვრული 4 სემესტრის განმავლობაში.

4. მაგისტრატურაში კრედიტების წლიური დასაშვები ოდენობა განისაზღვროს წელიწადში 60 კრედიტით (სემესტრში 25-35/30-30 კრედიტის ოდენობით).

6. მაგისტრატურის მე-4 სემესტრის სტუდენტს უფლება მიეცეს, 120 კრედიტის შესასრულებლად დააგროვოს არაუმეტეს 40 კრედიტისა.

6. თსუ სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) კრედიტის მოსაპოვებლად სამჯერ მოისმინოს ერთი და იგივე სასწავლო კურსი.

გ) ისარგებლოს თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ვ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

ზ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება.

2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ მომსახურებისთვის დადგენილი ვადები;

დ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;

ე) ერთი თვის ვადაში აცნობოს უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტს პირად ბარათში მითითებული ინფორმაციის ცვლილებებზე;

ვ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ზ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

3. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) პლაგიატი- ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების,აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

7. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
ბ)სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
გ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის უუნარობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.
დ)ორსულობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება ორსულობის პათოლოგიური მიმდინარეობა.
ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულაბაში სწავლა.
ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

2.ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“, ,,ე“ და ,,ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ–ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს შვიდი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.
3.სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.
4.სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) თსუ–ში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) პირადი განცხადება;
დ) ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის საფეხურზე/პროფესიული უმაღლესი განათლების ქვესაფეხურზე;

ე)შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
ვ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
ზ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;

თ) მე-6 პარაგრაფის მე–3 პუნქტის ,,ა“ ,,გ“ და ,,დ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

ი) ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით“, ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“ გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველსზე.

კ) გარდაცვალება;

2. ამ მუხლის 1–ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტატუსის შეწყვეტის კანდიდატს ეძლევა ფაკულტეტის ფარგლებში სპეციალობის შეცვლის უფლება.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან ექვსი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

9. სემესტრული გადასახადი

1. თსუ-ში სწავლის საფასური სწავლების ყველა საფეხურზე განისაზღვრება სემესტრული გადასახადით და საქართველოს მოქალაქეებისთვის ყველა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე შეადგენს 1125 ლარს.
2. 2009–2010 სასწავლო წლამდე ჩარიცხულთათვის სწავლის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახადით და ყველა ფაკულტეტსა და სპეციალობაზე შეადგენს:

ა)საქართველოს მოქალაქეთათვის:

პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა – 750 ლარი

ბაკალავრიატი-750ლარი;
მაგისტრატურა-1000ლარი;
დოქტორანტურა-1000ლარი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის:

ბაკალავრიატში – 1250ლარი;
მაგისტრატურაში –1500ლარი;
დოქტორანტურაში – 2000 ლარი;

3. 2009–2010 სასწავლო წელს თსუ–ში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სწავლის სემესტრული საფასური სწალების ყველა საფეხურზე შეადგენს 1125 ლარს.
4. 2010-2011 სასწავლო წლიდან ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის თსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვენელის ბრძანებით შეიძლება დაწესდეს სწავლის განსხვავებული საფასური ფაკულტეტებისა და პროგრამების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის 1–ლი პუნქტით დადგენილი ოდენობისა.
5. ცალკეულ სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე ადმინისტრაციის ხელმძღვენელის ბრძანებით შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი ოდენობისა;

6. დოქტორანტურაში სწავლის საფასურზე შეღავათის საკითხს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.

7. გარდამავალი პერიოდის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) სწავლის სემესტრული საფასური განისაზღვრება ამ მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტების შესაბამისად;
ბ) 2008-2009 სასწავლო წელსა და 2009-2010 სასწავლო წელს ჩარიცხულნი ერთი სემესტრის განმავლობაში თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს პრეფერენციული (უფრო დაბალი, შეღავათიანი) ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა;
9. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
10. სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ტარიფით;
11. პირმა, რომელსაც 2010 წლამდე შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. სწავლის საფასური ამ შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით;
12. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო

სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
13. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ – შუალედურ და დასკვნით გამოცდებში. აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, რის შემდეგაც დაუშვებელია მომსახურების მიუღებლობის მოტივით გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გადატანის მოთხოვნა;
14. ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება;

10. დამატებითი სემესტრის გავლა

1. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების (სემესტრული გადასახადის) ფარგლებში განმეორებით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსი სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით;
2. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო არაუმეტეს ოთხი სემესტრის განმავლობაში;
3. დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30–40 კრედიტის) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური 2010–2011 სასწავლო წლიდან განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი სემესტრული ტარიფით.

ბ) ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად და 2010–2011 სასწავლო წლიდან ერთი კრედიტის ღირებულება შეადგენს 40 ლარს.

4. ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის სწავლების საფეხურზე დამატებით სემესტრებში სტუდენტს უფლება ეძლევა 240/300/360 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები არაუმეტეს 40 კრედიტისა.

5. მაგისტრატურის დამატებით სემესტრებში სტუდენტს უფლება ეძლევა 120 კრედიტის შესასრულებლად დააგროვოს *არაუმეტეს 35 კრედიტისა.*

6. მაგისტრანტს, რომელიც მისთვის დადგენილ ვადაში, სემესტრის დასრულებამდე, ფაკულტეტზე წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომს და ვერ დაიცავს საპატიო მიზეზით,

უფლება ეძლევა, მომდევნო, დამატებით, სემესტრებში, ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში, გადაიხადოს მომსახურების საფასური 100 ლარის ოდენობით და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ პერიოდში.

7. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება აკადემიური ცნობით.

11. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში შესრულებული კრედიტების აღიარება

1. თსუ-ს სტუდენტების, აგრეთვე მობილობის ფარგლებში უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხულთა მიერ საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოსმენილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

12. **გამოცდების ჩატარების წესები**

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;

ბ) შეფასების მიღება გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით;

გ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. "შპარგალკა") გამოყენება;

დ) აუდიტორიიდან გაძევება გამოცდის ჩაშლის მცდელობის, ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამო;

ე) გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება;

5. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის

საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით;

6. გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებია:

ა) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/საგამოცდო ცენტრის გადაწყვეტილება სტუდენტის გამოცდაზე განმეორებით დაშვების შესახებ, დადგენილი წესის თანახმად;

ბ) საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მისი განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;

გ) 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

დ) სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომლის შეფასებათა ჯამი 41 ქულაზე არანაკლებია, კიდევ ერთხელ ეძლევა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

ე) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

ვ) სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდში, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში;

ზ) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია.

თ) სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

5. სტუდენტის შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს;დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

ბ) სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

გ) მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების წერითი ნამუშევრები ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
დ) თუ შეფასებას რამდენიმე გამომცდელი ახდენს, საბოლოო შეფასება საშუალო არითმეტიკულია.
6) გამოცდის შედეგების გასაჩივრება ხდება შემდეგნაირად:

ა) სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს თსუ საგამოცდო ცენტრს/დეკანატს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა;

ბ) კონკურსანტი, რომელიც არ ეთანხმება მისაღებ გამოცდაზე მიღებულ შედეგს, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს თსუ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა;

<u>გ) საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისია.</u>

13. აკადემიური ხარისხის მინიჭება/ბათილობა და დიპლომი

1. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. ბაკალავრის, მაგისტრის ან დიპლომირებული მედიკოსის აკადემიურ ხარისხს/დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს უნივერსიტეტი შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე;
2. აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ;

3. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვით; აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ;
4. დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა ხდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

14. ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული დოკუმენტების ნუსხა

ა) აკადემიური საბჭოს 92–ე დადგენილება მასში შესული ცვლილებებითა და დამატებებით;

ბ) აკადემიური საბჭოს დადგენილება №76 , 25.02.2008

გ) აკადემიური საბჭოს დადგენილება N190, 02.27.2009.

დ) რექტორის ბრძანება N88/01–01, 03.10.2007.

ე) რექტორის ბრძანება N26 /01–01, 06.05.2008,